საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/133 „ 25 „ სექტემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ვ. მშვენიერაძის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2020 წლის 15 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2020 წლის 18 სექტემბერს მიღებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ვასილ მშვენიერაძის განცხადება.

ვასილ მშვენიერაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება, მათ შორის მას აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც. იგი იყო გორის რაიონული, მცხეთის რაიონული და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე, - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიის თავმჯდომარე. ვასილ მშვენიერაძე 2020 წლის აგვისტოდან არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ვასილ მშვენიერაძე დაინიშნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარედ 2020 წლის 26 სექტემბრიდან, 5 წლის ვადით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი